რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელ. ხ წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვს-სთვისა | 5 მან. | ერთი თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

ძირის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, წვრილებრივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორავს და შეამოკლებს დაუსაბეჭდად გამოგზავნილს წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ხუთ კაპეიკად.


**თავადი გიორგი ილიას ძე ორბელიანი** უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ხუთშაბათს, 28 აპრილს, ანჩისხატის ეკკლესიაში, დილით 10 საათ., ორმოცის დღის შემდეგ განსვენებისა **თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა**, მიცვალებულის მოსახსენიებელს პანაშვიდზე.

უმორჩილესად ვსთხოვ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მობრძანდნენ 26-სა ამა აპრილისასა, სამშაბათს ექვს საათზედ ს ღამოთი, განსაკუთრებითს გუბერნიის კრებაში, იმ სავნის გარდასაწყვეტლად, რომლითაც საუკუნოდ იხსენიებოდეს განსვენებული გენერალ-ადიუტანტი თავადი **გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი**.

შეკრებილება იქნება, იმ სახლებში, რომელშიაცა ვსდგევარ.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომელი, გვარდიის-პოლკოვნიკი.

**თ-დი დავით სუმბათოვი.**

# ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

## რუსეთიდამ

23 აპრილს

**მოსკოვი.** სობოროს მოედანზედ გაშენებულია რამდენიმე პავილიონი ბაირაღებით მორთულნი; ივანე დიდის გვერდით გაშენებული პავილიონი ჩაიტევს ორი-ათასს სულს.

**პეტერბურღი.** უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი როგორც გაზეთები იწერებიან 12 მაისისათვის შეიკრიბებიან მოსკოვში.

**ადესსა.** სამხედრო სამჯავროსაგან გასამართლებულნი 22 პოლიტიკური დამნაშავენი გაგზავნეს მოსკოვში ცენტრალურ სატუსაღოში დასამწყვდევად.

24 აპრილს

**პეტერბურღი.** გუშინ ჩამოვიდნენ აქ სამზღვარ გარეთიდამ დიდი თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე და დიდი მთავრინა ვერა კონსტანტინეს ასული.

პეტერბურღის „ვედომოსტი“ (მეგრე) იტყვიან, რომ ნება მიეცეთ ებრაელის მირთმევისა ხელმწიფისათვის გვირგვინის-კურთხევის დროს.

## სამზღვარ-გარეთიდამ

23 აპრილს

**ბერლინი.** 21 აპრილს დიდი თავადი კონსტანტინე ეწვია გერმანიის იმპერატორს და ხელმწიფის მეგვარეთ, რომელნიც შემდეგ ეწვივნენ დიდს თავადსაც. წამოსვლამდი დიდი თავადი ბრძანდებოდა სასახლეში სადილზედ და ინახულა თ-დი ბისმარკი.

**ლონდონი.** მარკიზ წენგი, ბოგდიხანის წარმომადგენლად დანიშნული რუსეთის ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზედ, პარიჟით გაემგზავრა მოსკოვს.

**პოცდამი.** გუშინ გაასვენეს შულცე-დელიჩი; პროცესიაში მიიღო მონაწილეობა პრეზიდენტურამ, რეიხსტაგის დეპუტაციამ, მუშების საზოგადოების წარმომადგენელთა და აუარებელმა ხალხმა.

## სწავლა-განათლების საქმე სვანეთში.

(წერილი სვანეთიდამ)

ძლიერ ღარიბი და დაცემული კუთხეა ჩვენის ქვეყნისა სვანეთი.

პირველად სვანეთის ნივთიერი მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, რომლის შედეგი შეიქნება მისი გონებითი განვითარებაც. სვანეთის ნივთიერი განკეთებისათვის პირველ საჭიროდ უნდა ჩაითვალოს გზების გახსნა სხვა მეზობელ ხალხებთან. როდესაც სვანეთს გზები გაუკეთდება, მაშინ სვანი მისვლა-მოსვლას, ვაჭრობას მიეჩვევა, გაიმრავლებს შინაურ საქონელს, რომლისათვინაც ბუნება ხელს უწყობს მას, რაკი ნახავს, რომ საქონელს ფულად აქცევს და ფულით სარჩოს და სხვა ცხოვრების დასაკმაყოფილებელ მოთხოვნილებას შეიძენს.

ამ ჟამ ყოველსა ამას სვანი მოკლებულია. და რაკი ზემო-ხსენებულ მიზეზს, ე. ი. უგზოობას ადგილი აღარ ექნება სვანეთში, მაშინ ხალხი სწავლასაც მოინდომებს და ხელ მოწყობილიც იქნება ნივთიერად.

აქ მინდა მოკლედ აღვწერო სწავლის მსვლელობა მხარეში, რუსის მართებლობის შემოსვლისა დროიდამ სვანეთში აქამომდე.

იმ თავით სვანეთი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ“ მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და პირველად მან დასდვა სვანეთში საფუძველი ხალხის სარწმუნოებითი და გონებითი წარმატებისა. ამ საზოგადოებამ თან-და-თან გაამწესა სვანეთში კანონიერი სამღვდელოება, გაუჩინა მათ ჯამაგირები ორმოცორმოცი თუმანი. ამავე საზოგადოებამ 1864 წელს ააშენა საბატონო სვანეთის ფარის საზოგადოებაში სკოლისთვის სახლი; გამოგზავნა სასწავლო ნივთები, მაგრამ, რადგანაც მასწავლებელი სვანურის მცოდნე იმ დროებში ვერავინ იშოვნა, სახლი სახლად დარჩა და სასწავლო ნივთები დღესაც საზოგადოებისაგან გამოგზავნილ ყუთებშია 1871 წელს სოფელს მესტიაში ამავე საზოგადოებამ გახსნა სკოლა; მასწავლებლად გამოგზავნა საზოგადოების ხარჯით გამოზრდილი, სვანური ენის მცოდნე ბ. ი. ქერესელიძე;

---

«დროების» ფელტონი, 26 აპრილს.

## ცნობანი ოსეთზე

### I

### სარწმუნოება ოსეთში

ოსეთში ყველა კავკასიის მხრებზე მეტი ეკკლესიების ნანგრევებია. ეკკლესიები ოსეთში ეკუთვნიან ორს პერიოდს: ძველი პერიოდი—თამარ მეფემდე, და უფრო ახალი—თამარის დროისა. თუმცა ოსები ყველა ამ ეკკლესიებს „თამარ დედოფლის“ აშენებულებს ეძახიან, მაგრამ თამარ მეფის აშენებულ ეკკლესიებს ძალიან განსხვავება აქვსთ აქაურს ძველს დროის ნაშენებთან, როგორც სტილით ისე სიძველითაც. სჩანს ოსეთში ადრეც ყოფილა ქრისტიანობა. ისტორია მოგვითხრობს, რომ ქრისტესით I საუკუნეს კავკასიის აქეთა მხარეს ქადაგებდნენ წმ. მოციქულნი: ანდრია, სიმონ კანანელი, თადეოზი და ბართლომე. ამ მოწაფეთაგან ოსეთში გარდავიდა წმ. ანდრია და მუნ ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. გარდა ამისა წინედ ზოგი ოსები დასახლებულ იყვნენ მდ. ეფრატის მახლობლად, სადაც ქრისტეს სახარების ნათლით განათლებულ იყვნენ წმ. მოციქულს თადეოზის მოწაფეთა შემწეობით. ოსების მორჯულებაზე ბევრი ღვაწლი დასდო თვით წმ. ნინომ. ამ დროის ქრისტიანობის გამავრცელებლად ოსეთში, იხსენიება ორი ეპისკოპოზი: იოანნე და აბიბი. შესაძლოა, რომ ეს ძველი საყდრის ნანგრევები უნდა ეკუთვნოდენ ამ დროს.

ისტორიული ქრონიკა გვაუწყებს, რომ ოსებმა დასტოვესო ქრისტიანობა 931 წ. ქრისტიანობის დატოვების მიზეზი არიან ყაბარდოელები, რომელთაც შეპყრობილი ჰყვანდათ ოსები. 931 წლიდამ ვიდრე თამარ მეფის დრომდე ოსები მაჰმადის სჯულს მისდევდენ. თამარი ოსებში ხელ-მეორედ ქრისტიანობის გავრცელებისათვის დიდად ზრუნავდა. მან გაგზავნა ოსეთში ქართველი მისსიონერები, რომელთაც უნდა გაევრცელებინათ ქრისტიანობა. თამარი აგებდა ბევრგან ეკკლესიებსაც. მის აშენებულ ეკკლესიათაგან აწ ცოტა-ღა დარჩა მრთელი. ერთი ეკკლესია იმყოფება სოფ. ნუზალში და მეორე სოფ. მახჩინში. ამ სოფლების ეკკლესიებში ეხლაც სწირვენ. უფრო საყურადღებოა პირველი ეკკლესია—სოფ. ნუზალში. აქ, როგორც ამბობენ წინედ წარწერილ იყო ლექსი ოსების მეფეებზე, რომელიც წაშლილია მღვ. სამარგანოვის-მიერ. ბევრს უნდოდა შეეტყო, ვინ იყო დამწერი ამ ლექსისა, მაგრამ ყოველი მათი ღონისძიება ამაოდ დარჩა. აწ ერთ მოხუცებულ ოსისაგან გავიგე, რომ ეს ლექსი დაეწერა ვიღაც კასრაძესა *). ლექსი დაიწყობა ასე:

> ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,
> ჯარჯონიძე ჭარხილანი:
> ოს-ბაყათარ, დავით-სოსლან,
> ოთხ სამეფოს მებრძოლანი.**)

აქვე მწერალი იხსენიებს შემდეგ სახელებს: ფიდაროზი, ჯადაროზი, საყურ, გიორგი, ბასილ და რომანოზ.

ამათგანნი უკანასკნელნი სამნი იყვნენ ბერები. ოსები ოდესმე უნდა ყოფილიყვნენ კერპთ-მსახურად, რადგან აწინდელი ღმერთები ოსებისა სულ კერპთ-მსახურების ღმერთებია. ოსებმა, როდესაც მიიღეს ქრისტიანობა, თავის წარმართ ღმერთების სახელები გადასდეს მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წმინდანებზე, მაგალითად: **ვასჯირჯი** დაარქვეს წმ. გიორგის, **ვაჩილლა** წინასწარმეტყველ ილიას და სხვ.

აქ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ძველ ოსების ღმერთებზე.

ოსები წინედ (და ეხლაც) ღმერთს უძახოდენ **ხიცაუ** (პატრონი). ეს ხიცაუ ოსებს ჰქონდათ წარმოდგენილი რაღაც მაღალ არსებად, რომელსაც ხელ-ქვეშ შეპყრობილი ჰყვანდა სხვა ღმერთები. ოსების ხიცაუ არის ბერძნების ზევსი და რომაელების იუპიტერი. ხიცაუს შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს **ვასჯირჯის**. ვასჯირჯი არის ჩაცმული ჩოხაში, ზის თეთრ ცხენზედ და აქვს ფარალი, რომელიც მას უთავაზა ღმერთების მჭედელმა—საფომ, რომელიც ცაში იმყოფება. ვასჯირჯი არის მტერი ქურდებისა, პირ-

---

*) ამ სოფაში (ლარსისა) მართლაც კასრაძის გვარისა ბევრნი სცხოვრებენ.

**) იხ. ბ. დიმ. ფურცელაძის ანბანი, სადაც ლექსი მთლად მოყვანილია.

მაგრამ ამ სკოლამ ცოტა ხან იცოცხლა. ამის შემდეგ საზოგადოებას სკოლა არ გაუხსნია სვანეთში; მაგრამ ამითი არ თავდება საზოგადოების ღვაწლი სვანეთის წინაშე. საზოგადოება ზრდიდა 1870 წლამდინ თავის ხარჯით შვიდ სვანს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მხოლოდ ამ წლიდამ ყველა სასწავლებლებში სტიპენდიანტების ხარჯმა მოიმატა და საზოგადოებამ, ხარჯის მომრიდემ, სვანების სტიპენდიანტების რიცხვი შეამოკლა სამად; დღეს-კი არც ერთი სვანი აღარ იზრდება საზოგადოების ხარჯით.

მართებლობას სვანეთში სკოლა არ გაუხსნია არაოდეს. არც ერთს სვანეთის პრისტავს 1879 წლამდინ სკოლის გახსნა არ უთხოვნია მთავრობისათვის, თუმცა მათ—პრისტავებს, მაშინ ამ კეთილის საქმის სისრულეში მოყვანა ადვილად შეეძლოთ. 1879 წელს სვანეთის ახლად დანიშნულ პრისტავმა, აწ უკვე განსვენებულ გრიგოლ ქლდიაშვილმან, დიდად მსურველმან სვანეთის წარმატებისა, გარეშე მთავრობისა, მიჰმართა იმ დროს დაფუძნებულ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართველებთა შორის“ თხოვნით—გაეხსნა მას სკოლა სვანეთში. მანვე რამდენჯერმე პირადაც და წერილითაც მიმართა საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარეს ბატ. დ. ყიფიანს, რომელიც წერილითვე იმედს იძლეოდა სვანეთში სკოლის გახსნაზე, მხოლოდ ბიტონი ყიფიანი სთხოვდა განსვენებულ ქლდიაშვილს, რომ სკოლის ასაშენებლად ხის მასალა მოემზადებინებია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის და ეჩვენებინა მასწავლებლად ვინმე ნასწავლი სვანი, ცოტა ჯამაგირით. ყოველი მასალა მოამზადა, ორი მასწავლებელიც ნაშოვნი იყო,—რომელნიც თანხმდებოდენ, თუ საზოგადოებას ჯამაგირის მიცემა გაუმჯობდებოდა — მუქთად სკოლის საქმის წაყვანას, ოღონდ მას (სკოლას) საზოგადოებისაგან სასწავლო ნივთებით შემწეობა ჰქონიყო, საზოგადოებას ცნობილი ჰქონდა აგრეთვე, რომ ბეჩოს კამანდის ექიმმა რეიხმა, აწ გარდაცვალებულმა, 4000 მანეთი დასტოვა, განსვენებულ ქლდიაშვილის ჩაგონებით, სვანეთში სკოლის გასახსნელად, რომლითაც საზოგადოებას შეეძლო ესარგებლა, ყოველივე ეს ცნობები მიმართულ იქმნა საზოგადოებისადმი, მაგრამ საზოგადოებამ დღემდის არაფერი პასუხი არ მისცა, ბ. როძევიჩს, ლეჩხუმის მაზრის უფროსს, რომელმაც ღვაწლი დასდო ამ საქმეში და ამ ნაირად ეს საქმე დასაწყისშივე ჩაიფუშა. ხის მასალა, სკოლისათვის მომზადებული ქლდიაშვილის მეცადინეობით, დალპა, ადგილობრივი კამანდა, რომელიც სახლის აშენებას და მებელის გათლას ჰპირდებოდა სკოლას 1881 წელს გადაიყვანეს და, რაც ყველაზედ სამწუხაროა, 4000 მანეთი ექიმ რეიხისაგან შეწირული სხვა ფულებთა შორის დაიკარგა სკოპინის ბანკში და ასე განსვენებული ქლდიაშვილის წადილი, სვანეთში სკოლა გახსნისა—დარჩა შეუსრულებელი.

სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ ვუძღვნა განსვენებულ ქლდიაშვილის პატიოსან და სვანეთისათვის სასარგებლო მოღვაწეობას. განსვენებული მსახურებდა სვანეთში მხოლოდ ოთხი წელიწადი. ამ მოკლე ხანში თავის გულ-კეთილობით, სამაგალითო პატიოსნებით და მამობრიული ქცევით მალე დაიმსახურა ხალხის ნდობა და სიყვარული და დღესაც მისს სიკვდილს მთელი სვანეთი ჰგლოვობს. მცირეს ხანში გაიცნო განსვენებულმა სვანეთი და სვანეთმაც იგი იცნო. ვაი, რომ ამაოდ დარჩა გრიგოლ ქლდიაშვილის ცდა, წადილი სვანეთის გონებითი წარმატებისა.

თუ რამდენად ჰსურდა მას სწავლა-განათლების გავრცელება სვანეთში ამას ის მცირე მაგალითიც გვიმტკიცებს, რომ ერთი ობოლი სვანი თავის ხარჯით აიყვანა გასაზრდელად, რომელიც სიკვდილის დროს თავის ცოლ-შვილს, არა მდიდარს, ჩააბარა. ეს ობოლი დღესაც განსვენებულ ქლდიაშვილის ოჯახის ხარჯით სწავლობს ერთს ქუთაისის სასწავლებელში.

თავისუფალი სვანი.

## დღიური

დღეს, როგორც განცხადებიდამაც სცნობდით, საღამოს ექვს საათზედ თავადი დ. სუმბათაშვილი, ტფილ. გუბერ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თვის სადგომში იწვევს გუბერნიის კეთილ-შობილთ, რათა მოილაპარაკონ შესახებ მისა, თუ რით მოიხსენიებოდეს საუკუნოდ სახელი განსვენებულის გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა.

ჩვენის ქვეყნისათვის არა ერთმხრივ სახსენებელია სახელი თ-ის გრ. ორბელიანისა და მოსალოდნელია, რომ კეთილ-შობილთა გადაწყვეტილება ყოველ ამ მხარეთაგანს ჯეროვანად დააკმაყოფილებს.

* *

ჩვენ შევიტყეთ რომ აქ მყოფ საფრანგეთის პრინცს ჰერცოგს შარტრისას, გამოუცხადებია თავის ნაცნობებისათვის დიდი სურვილი ინახულოს ქართულს სცენაზე „სამშობლოს“ წარმოდგენა. ჰერცოგს უნახავს ფრანცუზულ ენაზე ამ დრამის წარმოდგენა და „ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებაო, თუ ჩემს კავკასიაში მყოფობის დროს, როგორმე ქართულს ენაზედაც მოვისმინოო“.

* *

მხიარულად ჩაიარა კვირას ქართულმა წარმოდგენამ არწრუნის თეატრში. მხოლოდ ხალხი კი ცოტა იყო და მერე ამდენი ხნის მარხულობის შემდეგ. წარმოდგენა დასრულდა ლაზათიანის ლეკურით.

## ნამდვილი წკიპარტი *)

(ი. ს. გოგებაშვილის სტატიის გამო)

ბატ. გოგებაშვილმა ორი უდარბაისლო სტატია დაბეჭდა და ორთავეში სცდილობს გამოიცნოს, თუ „რა თვისების და საგნის მიზეზი ჰბადავს ამისთანა ბავშურს შენიშნვებს და წერილებს, როგორიც არიან ბ-ნი მირიანაშვილის და ქუთათური გორასი, რამ აიძულა მისი დამწერები?“

საკვირველია, ღმერთმანი, ამ პედაგოგის ექვიანობა. უთუოდ უნდა რამე სუნით ალსნას საქმე და არა თავის წიგნების სისუსტით. არა სუნს აქ ხელი არა აქვს. აი, საქმე რაში მდგომარეობს:

ამ რამდენიმე წლის წინად, ბ. გოგებაშვილის წიგნები რომ გამოვიდენ, საზოგადოებამაც და მასწავლებლებმაც ქების ტაში შემოუკრეს ავტორს. გამოჩნდა ისეთი სწრაფი პირიც, რომელმაც გაზეთიდამ დაიძახა: „გაუმარჯოს ქართველების უშინსკისაო!“ რა იყო ამის მიზეზი?—ჯერ ერთი ისა,

*) იხ. „დროება“, № 81.

---

ფერებისა, ცრუ-მოწმებისა, კაცისმკვლელებისა და სხვ.

მაშასადამე ვასჯირჯი მოწინააღმდეგეა სხვა ღმერთისა, საგ-მუარისა—(შავ-წმიდისა) რომელიც ქურდებს სწყალობს. ვასჯირჯი სამაგალითო ღმერთია. ოსს თუ უნდა დაფიცება იფიცავს ვასჯირჯითა, სხვას ულოცავს ვასჯირჯის წყალობებითა და სხვა. ამიტომაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ოსებმა ვასჯირჯის სახელი უძღვნეს წმ. გიორგს. ვასჯირჯის დღეობა 10 ნოემბერს არის ხოლმე. მესამე ღმერთი იყო ვაჩილლა. ვაჩილლა არის გოლვის, ქუხილის და ომის ღმერთი; ეს ღმერთი მოგვაგონებს რომაელების ღმერთს მარსსა. მეხით ვაჩილლა ემუქრება ბოროტ სულს, რომელიც მალ-მალ ამოვა ხოლმე მიწიდამ ხალხის შესაცდენად. ეშმაკი სცდილობს, რომ კაცის ქვეშ შეძვრეს ქუხილის დროს, რათა მეხი ორთავეს ერთად დაეცეს. მეხით მოკლული კაცი ოსებს არ ენანებათ, რადგანაც ამბობენ, რომ ვაჩილლამ ცაში წაიყვანაო. მეხ-დაცემულს გარშემო შემოერტყმებიან ხოლმე დედ-მამა და სოფლელები და ტირილის მაგიერად სიმღერებს ამბობენ ხოლმე—სთხოვენ ვაჩილლას, მიცვალებულის სული ცამდის მიაღწევინოს. სიმღერა დაიწყობა და თავდება სიტყვით „ცოპპაი“, რომლის მნიშვნელობა დღემდი არავინ იცის. შემდეგ მიცვალებულს შეიტანენ სახლში, სადაც არამც თუ ვინმემ უნდა იტიროს, არამედ უნდა ეცადოს, რომ სიხარულში იმყოფებოდეს. სოფლელები შეიკრიბებიან და ზემო-ხსენებულ სიმღერით დაივლიან რამდენსამე სოფელს, საცა მათ აჩუქებენ ხოლმე ბატკნებს, ციკნებს და სხვ. როცა მოვლენ თავიანთს სოფელში,—ერთ მუხის ქვეშ გამართვენ ლხინსა, რომელიც სწორედ ქორწილსა ჰგავს. მუსიკის და დაირის ხმა, თამაში, სიმღერა და სხვა-და-სხვა გამოიმის აქედამ. ჭამას დაიწყებენ საღამოს და დილამდის სუფრაზე სხედან. ვაჩილლის დღეობას (რომელიც ახალ-წლის წინა დღეს არის), ოსები დაჰკლავენ ორ თხას: ერთი თხა ვაჩილლისაა და მეორე ეშმაკისა. ეშმაკს შეეხვეწებიან, რომ ელვის და ქუხილის დროს ჩვენთან ნუ მოხვალო, და ვაჩილლას კი—სეტყვა და საზოგადოდ მოსავლისათვის ფინთდარს ნუ მოიყვანო.

შემდეგ ვაჩილლის სახელი უძღვნეს ოსებმა წინასწარმეტყველ ილიას. საზოგადო პატივის ცემა ვაჩილლის მიერ ოსებში ეხლაც არი. ოსების ღმერთები იყოფებიან ორ ნაწილად: კეთილნი და ბოროტნი, რომელთაც ერთმანეთში შეტაკება ხშირად მოუხდებათ. ფალვარა არის საქონლის ღმერთი და ყოველთვის უნდა, რომ ხალხს გაუმრავლოს საქონელი; თუთირი მგლების ღმერთია და ყოველთვის სცდილობს, რომ ხალხს საქონელი მოაკლოს. ღმერთებში ყველაზედ მშვიდად ფალვარა ითვლება. ფალვარის დღეობა მარიამობისთვეს არის ხოლმე. გარდა ამათისა ოსებს სხვა ღმერთებიც ჰყვანდათ და ჰყავანან, მაგალითად: ალარდი (წითელას ღმერთი), ბინათი-ხიცაუ, (ადგილის პატრონი) თხოსდი, რეჭომი და სხვანი. ამ ღმერთებისათვის მსხვერპლის მოტანის ალაგი იმყოფება რომელიმე მუხის ქვეშ, რომელსაც ოსები სალოცავს (ძვანდონს) ეძახიან. ერთის სიტყვით მუხა წმინდა ხეთ ითვლება და როდესაც მის ქვეშ ვინმე გაივლის, უნდა მოიხადოს ქუდი და პირჯვარი დაიწეროს.

ამ ღმერთების სახელები მართლმადიდებელ ეკკლესიის წმიდანებზე ოსებმა გადაიღეს საქართველოს „ოქროს საუკუნეში“, თამარ-მეფის დროს, რომელიც, როგორცა ვსთქვით, ძალიან ზრუნავდა ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებისათვის. მაგრამ თამარ-მეფის შემდეგ ოსები ისევ უზრუნველობაში დარჩნენ და აღარც ქრისტიანები იყვნენ, აღარც მაჰმადიანები. ამ მდგომარეობაში ოსები იმყოფებოდენ 1745 წლამდე.

ამ 1745 წელს რუსეთის მართებლობამ ყურადღება მიაქცია ოსებს და გაგზავნა აქ მისსიონერები ქართველებისაგან. ამავე 1745 წ. დაწესდა „ოსეთის სასულიერო კამისია“ ქართველ არქიმანდრიტების იოსებ და ნიკოლოზის შემწეობით. კამისიის ვალი იყო, გაევრცელებინა ოსეთში ქრისტიანობა. 1815 წლამდე ეს კამისია იმყოფებოდა ქ. მოზდოკში; მაგრამ 1815 წელს გარდაიტანეს ქ. ტფილისში, ეპისკოპოზ დოსითეის თავსმჯდომარეობით. კამისიამ ააშენა ოსეთში 40 ეკკლესიამდე, სადაც ახლა წირვა-ლოცვა მიდის. „კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების“ დაწესების შემდეგ, ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება უფრო წარმატებით წავიდა,

რომ წიგნები იყვნენ სუფთად გამოცემულნი; მეორე, რომ იგინი მოგვაგონებდენ რუსულ საუკეთესო სახელმძღვანელოებს და გვეგონა, რომ ავტორი ხეირიანად იხელმძღვანელებდა მასალებით და კარგს რასმეს დასწერდა; მესამე, რომ ეს წიგნები იყვნენ პირველნი თავის გვარ წიგნებ შორის და მეოთხე—რომ ჩვენ ქართველები ყოველთვის დიდის ამბით მივეგებებით ხოლმე ყოველ ახალ საქმეს, მეტადრე თუ იმას მმართავს რომელიმე „მამულის შვილთაგანი“. ამას დაუმატეთ ისიც, რომ შემდეგი გამოცემები ავტორმა შეამკო მშვენიერი სურათებით და მაშინ წარმოიდგენთ „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ ქება-დიდების მიზეზს.

ვისაც გოგებაშვილის წიგნები არ უხმარია, ვინც, მოკლედ რომ ვსთქვათ, იცნობს მათ ისე ხელად გადაკითხვით, იმ პირთ ეს სახელმძღვანელოები დღესაც მოსწონთ. ან რატომ არ მოეწონებათ? „დედა-ენაა“ და—მშვენიერი ადვილი საკითხავი ლექსებით და ზღაპრებით არის სავსე; „ბუნების კარის“ და—ის ხომ ჩინებული წიგნია, ჯერ მარტო რაც იქ პატრიოტული ლექსებია მოქცეული, ის შეადგენს მათ დიდ-ღირსებას!

ეს საზოგადო ქება-დიდება, ეს გარმონია დაარღვია ერთმა „ლილიპუტმა“ და საზოგადო აზრის უნისონში გასძახა: „არ ვარგანან ბ. გოგებაშვილის წიგნებიო!“ ეს ისეთი „ლილიპუტა“ გახლავთ, რომელსაც დიდის პატივისცემით და მოწიწებით იხსენიებენ ყველა დიდი და პატარა პედაგოგები, ყველა გახსნილი კაცი. მე ვამბობ სახალხო მასწავლებელზედ. ნურავის ნუ დაავიწყდება, რომ მასწავლებლის აზრი სახელმძღვანელოზედ, რომლითაც ის ასწავლის შაგირდებს, ხან მოჰკლავს იმ სახელმძღვანელოს, ხან გააძლიერებს მას. შეგიძლიანთ მასწავლებელს არ დაეთანხმოთ, არც კი ჰკითხოთ მას თავისი აზრი, როდესაც ლაპარაკი გაქვთ ან ისტორიაზე, ან პოლიტიკაზე, ან ეკონომიურ კითხვებზე და სხვ., მაგრამ სახელმძღვანელო წიგნის ბედი კი მთლად მისს ხელშია. რაც უნდა გვარწმუნოს ბ. გოგებაშვილმა, რაც უნდა იფიცოს, რომ მისი წიგნები საუკეთესოები არიან, მაინც ამით ვერაფერს გახდება, ვერავის დაარწმუნებს ამაზედ იმ დროს, როდესაც ისინი, ვისაც მისი წიგნების კარგი მხარენი ახარებენ და ნაკლულოვანებანი აწუხებენ გამოუთქმელის სიმწუხარით, ისინი, რომელთაც წლითი-წლამდე მისი წიგნი ხელში უჭირავთ და სისხლი უშრებათ მათი უვარგისობით, რას გახდება-მეთქი იქ პედაგოგი თავისის მუქარეებით, როდესაც ეს უკანასკნელნი გულ-დამშვიდებით, დარბაისლურად და წრფელის გულით აღიარებენ თავიანთ ხუთიექვსის წლის გამოცდილების შედეგს, აღიარებენ წიგნების უვარგისობას.

დიაღ, ბ. გოგებაშვილო, მიზეზი მისა, რომ პირველად მოიწონეს თქვენი სახელმძღვანელოები და ეხლა კი ფასი აკლდება მათ და ღირსება, გამოცდილება გახლავთ. მასწავლებელი გამოცდილებამ იქამდინ მიიყვანა; რომ დღეს ის კერძო ლაპარაკშიაც, გაზეთშიაც ეხვეწება ყველას, ვისაც კი შეძლება აქვთ (თუნდ ისევ იმავ. ბ. გოგებაშვილს, ეს საქმისათვის სულ ერთია) შეადგინონ უკეთესი სახელმძღვანელონი.

მაინც, რა დაანახვა გამოცდილებამ მასწავლებელს? რითი არიან გოგებაშვილის სახელმძღვანელოები უვარგისნი? ამ კითხვებზედ „გადამდელმაც“ ბევრი კარგი შენიშვნა გამოთქვა. „ქუთათურმაც ზოგმაც“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიწყნარა ავტორმა და უკადრისი პასუხი მიართვა.

მთელს ბ. გოგებაშვილს ღვაწლს პედაგოგიაში შეადგენენ ორი კომპილიატიური სახელმძღვანელონი, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ და ერთიც რაღაც მანქანებით დაჩემებული ბ. პალანდარაშვილის რუსული ენის სასწავლო სახელმძღვანელო. ბევრისგან გამიგონია, რომ გოგებაშვილის „დედა-ენა“ იგივე უშინსკის „Родное Слово“-არისო. ეს დიდი შეცდომაა; გოგებაშვილს დიაღ ჰქონია სურვილი, რომ რამე მის მზგავსი შაედგინა, მაგრამ შორს გასცდენია აღსრულებას. იქნება ვინმემ იფიქროს რომ, რა დანაშაულობაა, რომ გოგებაშვილმა უშინსკის აზრზეააშენა თავისი წიგნიო; თითონ უშინსკიმაც ევროპიელ პედაგოგების და სახელმძღვანელოების დახმარებით არ შეადგინა თავისი წიგნიო. დიაღ, ეს დიდად მართალი შენიშვნაა. შრიგო კი არა, პირ იქით ძალიან დიდ სიკეთეს უზამდა ქართულ სკოლას გოგებაშვილი, რომ უშინსკის წიგნის დედა-აზრი გაეგო და იმნაირი რამ შეადგინა. ეხლა კი „დედა-ენა“ ჰგავს „Родное Слово“-ს სურათებით, „ლურჯი ყდით“ და სხვა გარეგნობით.

ბ. გოგებაშვილს სწორედ არ ესმის თუ, რა ძნელია პირველი საკითხავის წიგნის (ანბანის შემდეგ) შედგენა და ამიტომ გაიძახის; აბა, გამოდით შეადგინეთ ჩქარაო და მაშინ ჩემ წიგნებზედ ილაპარაკეთო.. ჯერ ერთი, რომ ეს აზრი დიდი შეცდომაა: შეიძლება კაცმა თავის სიცოცხლეში ვერა შეადგინოს რა და სხვის შედგენილი კი მახვილად და ნიჭიერად გაარჩიოს. მერე კიდევ, აი, უშინსკი რას ამბობს პირველ საკითხავ წიგნზედ: „მთელ დიდაკტიკაში თითქმის რომ ყველაზედ უმეტესს სიძნელეს შეადგენს ანბანის შემდეგ პირველ საკითხავის წიგნის დაწერა“. (Рук. къ Преп. по Р. С.)

„როგორც პირველი, ისე მეორე (ბენი და პედაგოგიური კრებები) თხოულობენ, ამბობს გოგებაშვილი, რომ პირველი წიგნი სდევნიდეს მხოლოდ ერთ მიზანს—ენის შესწავლას ბავშვისაგან, რომელიც სკოლაში შესვლის დროს ბევრად უფრო მდიდარია ცოდნით და აზრით ვიდრე მეტყველებით. თანახმად ამ მოთხოვნილებისა „დედა-ენა“ იპყრობს **მდიდარს მასალას(?)** ენის შესწავლისთვის, რომელიც ამორჩეულია ხალხის სიტყვიერს ნაწარმოებიდამ“.

ჯერ ერთი, რომ ბ. პედაგოგმა სულ ტყუილ-უბრალოდ დაიწყო ლაპარაკი ისეთი მაღალი სართულიდამ, როგორც ბენი. ამით მას უნდა თვალი აუხვიოს ვისმე—სხვა არაფერი. ბენი კი არა ყველა რუსის პედაგოგებიც მაგას ამბობენ. ნუ თუ დავიჯეროთ, რომ მარტო ბენის ნაწერში ამოიკითხეთ ეგ აზრი! მაშ თქვენი ოსტატი უშინსკი რაღას ამბობს? რასმე წინააღმდეგს? მეორეც ის, რომ აქ ბ. გოგებაშვილს ერთი ისეთი სიტყვა წასცდა, რომელიც სულ ამაოდ ჰხდის ყოველ გვარ საუბარს მის „დედა-ენაზედ“. თურმე თვით ავტორი დარწმუნებული ყოფილა, რომ მისი სახელმძღვანელო შეიცავს, ანუ შეიპყრობს მხოლოდ „**მდიდარ მასალას**“ პირველ საკითხავი წიგნისას და არა შემთხვევაში კი, ის პირველ საკითხავი წიგნი არ არის! აი, მაგალითებ, როგორც

---

რადგანაც საზოგადოებამ ააშენა რამდენიმე ეკკლესია და დააწესა სახალხო სკოლები.

დასასრულ ვიტყვით რამდენიმე სიტყვას საყდრების ნანგრევებზე ოსეთში. ოსეთში ეკკლესიების ნანგრევებში ხშირად ნახავთ სხვა-და-სხვა ძველს იარაღს: ფარს, შვილდს, თაჯს და სხვ. ამ იარაღებზე ნახავთ ან ხუცურ, ან ლათინურ წარწერებს. პატივცემულმა ოსეთში მოგზაურმა ბ. ვ. ბ. ფფაფფმა იპოვა ჩრდილოეთის ოსეთის ერთ სოფლის ეკკლესიის ნანგრევებში ფარი და თაჯი ოსეთის განთქმულ გმირის ოს-ბაყათარ II-ისა *). იარაღი ეკუთვნისო, ამბობს ბ. ფფაფფი მე-XIV საუკ. ამისთანა ნივთების მოპოვება ბევრს შეჰმატებს ოსეთის ისტორიას. ოსეთი ძლიერ მდიდარია ამნაირ არხეოლოგიურ საუნჯით და უნდა ეცადდენ მისი მოპოვებისათვის...

## II

### ოსის ქალი

შესაბრალია ოსის ქალი. ოსეთში ქალი ითვლება ნამდვილ მონად და იგია მარტო მუშაკი. ოსმა გინდ ითხოვოს ცოლი, გინდ იყიდოს უღელი ხარი, მისთვის ეგ სულ ერთია. როდესაც ოსს უნდა ითხოვოს ცოლი, იგი ლამაზს და სინიდისიან ქალს კი არ ეძებს, არამედ ქალს, რომელმაც იცოდეს ხელოვნება (შალების ქსოვა, წუღების ბუზმენტით მორთვა და სხვა) და შეეძლოს მარჯვე მუშაობა: მკა, თოხნა, ბარვა. ოსის დედაკაცს აწევს კისერზედ სხვა მოთხოვნილებათა ასრულებაც; მაგალითად: შეშის მოტანა ტყიდამ ზურგით, წისქვილში საფქვავის წაღება და სხვ.

როცა ოსის ოჯახში ქალი შეეძინებათ—სამი დღე დაღონებული არიან: იტყვიან—ქალის ყოლა სახლში რამე უბედურების მოხდენას ნიშნავსო. ვისაც ჰსურს, რომ უამბოს მამას ქალის შეძენა იგი კრძალვით ეტყვის ხოლმე: „ჩვენ ღმერთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ, რასაც ინდომებს—წამსვე აასრულებს“... მამა, რასაკვირველია, მიხვდება, რომ ქალი ჰყოლია და იტყვის: „ღმერთმა ჩემზე გული დიდიხანია გადმოიბრუნა და აღარ მწყალობს ისე, როგორც ჩემ მამა-პაპას“... ქმარი ამის შემდეგ შემოსწყრება ცოლს და აღარ ელაპარაკება. ხშირად წაიჩხუბებიან ხოლმე ცოლ-ქმარი და უკანასკნელი დააყვედრებს: „რა მომიტანე შინიდამ?—მამა-შენმა სამოცი ძროხა და სამასი ცხვარი წაიყვანა და შენ კი მის მაგიერ ერთი ქალი მაჩუქე“... და სხვა. ერთის სიტყვით დაბადებიდამვე შეიტყობს კაცი ქალის მომავალ ტანჯვებს და ვაი-ვაგლახს.

ოჯახში ქალწულმა უნდა შეისწავლოს ხელოვნება მიეჩვიოს მუშაობას და მწყემსის მოვალეობაც აღასრულოს.

ქალი სამხრეთის ოსეთის უფრო ლამაზია, ვიდრე ჩრდილოეთისა. ოსის ქალებს მწვანე თვალები (?) აქვსთ და გრძელი ფეხებამდე თმა, ტანსაცმელს თითქმის ყველა მწვანეს, ჭრელს ანუ წითელს იცმენ.

ოსის ქალი რომ გათხოვდება—შეუდგება წინდების, ჩახსაკრავების და შალების ქსოვას, რომ ქმრის სოფლელ ბიჭებს აჩუქოს. ქორწილის დროს (ქორწილი ჩვეულებრივ 10 ნოემბერს, **ვასჯირჯის** დღეობას არის ხოლმე) ქალი უნდა იყოს ჩადრით დახურული და იჯდეს კუნჭულში. ქორწილის შემდეგ ვაჟი წაიყვანს ცოლს თავის სახლში. აქ მეფის დედა (**აფსინ**) დაარიგებს რძალს, თუ როგორ უნდა მოიქცეს სახლში.

პატარძალი ვერ დაელაპარაკება არა თუ ვაჟ-კაცებს—7—10 წ. ყმაწვილებსაც. ტუჩები ქალს მუდამ შეკრული უნდა ჰქონდეს. პატარძალს (**ნაგაგ ჩანმ**) არ შეუძლიან ისადილოს, ანუ სჭამოს ვახშამი სხვებთან, უნდა იდგეს ფეხზე, ემსახუროს, და სჭამოს პური მაშინ, როდესაც ყველანი აიშლებიან, ანუ დაიძინებენ.

და, აი, ამ დროს, როდესაც ოსის დედა-კაცი ამ გვარს ჯაფაშია მამაკაცი მოსვენებით სწმენდს მხოლოდ თავის იარაღს და ხშირად დათარეშობს გარემო—მეზობლებში, რომელთაც ერთ დღეს ხარი ეკარგებათ ხვალ ცხენი, ცხვარი და სხვ.

გ. ჩოჩიშვილი.

*) ოსების ისტორიაში ორი ოს-ბაყათარია მოხსენებული, ორნივე გმირები. პირველი ბაყათარი სცხოვრებდა მე-V საუკუნ. მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს, მეორე—მე-XIII საუკ. დამლევს, და მე-XIV დასაწყისს. ჩვენ ამ გმირებზედ შემდეგ ცალკე ვილაპარაკებთ.

ავტ.

„ქართლის ცხოვრება“ შეიცავს „მდიდარ მასალას“ ისტორიისას, მაგრამ იგი ისტორია კი არ არის, კიდევ, ქრისტომატიები, თუნდა ფილოლოგიისა აძლევს „მდიდარს მასალას“ რუსული ენის შესწავლისთვის, და სახელმძღვანელოდ კი ღმერთმა დაიფაროს. ბ. პედაგოგო, თუ კი ამ აზრისა იყავით თქვენ შრომაზედ, ა. მირიანაშვილისა და „ბადალოველის“ წინაალმდეგ რად გაილაშქრეთ? იმათაც ხომ ეგ უნდოდათ დაემტკიცებინათ.

მაღაროელი გლეხი.

(შემდეგი იქნება)

---

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 ს აათიდამ 10½-მდინ ნავასარტიანცი—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

---

# განცხადებანი

შავერდოვის გაზეთის სააგენტოში მიღებულია პირველი ნომერი ქუთაისში ახლად-გამოცემულის ჟურნალის „ქართულის ბიბლიოთეკისა“. № იყიდება 75 კაპ.

ნომერი შედგენილია მშვენივრად და ღირს-საყურადღებოდ მკითხველთათვის. (10—6)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

**საყმაწვილო ბაღი**

**№ 1**

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

შავდარუთ წვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოხალოვის ნაის—1 მ. 40

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, პურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—67)

---

ახალი ქართული

# ქარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

## საავადმყოფო ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოვის მეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9 - 10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. ჯ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავად-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბაევი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ემლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი. (20—17)

---

ახალი წიგნი:

**მომაკვდავნი სურათნი**

კომედ. IV მოქმ. თ-დის გ. შარვაშიძისა. ისყიდება ტფილისს—ჩარკვიანის წიგ. მაღაზიაში და ქუთაისს ჭილაძისაში.

ფასი თითო წიგნისა 5 შაური.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვა ნი მაქმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—67)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

ა ხ ა ლ ი

# წიგნის მაღაზია

არწრუნის გალერეია № 149, 150 ბ. ჯაბადარის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—30)

---

## საგლოგუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საagენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საპნი, პარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ქეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—7)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

# „ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

---

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—55)

---

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

**№ 1**

**ჩახრუხაძე**

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

---

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებში 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Апрѣля 1883 г.* **Типографія Меликова** გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.